01/04/2021

მეუფე მელქისედეკი – დამოუკიდებლობის რეფერენდუმის და ზვიად გამსახურდიას დაბადების დღეს, საქართველოში პუტინის იდეოლოგები არ უნდა ზეიმობდნენ

მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსი, მეუფე მელქისედეკ ხაჩიძე რუსი ჟურნალისტის ვლადიმერ პოზნერის საქართველოში ვიზიტს ეხმაურება.

“დამოუკიდებლობის რეფერენდუმის და ზვიად გამსახურდიას დაბადების დღეს, საქართველოში პუტინის იდეოლოგები არ უნდა ზეიმობდნენ...”, – წერს ეპისკოპოსი „ფეუისბუქზე“.

შეგახსენებთ, ვლადიმერ პოზნერი საქართველოში 31 მარტს ჩამოვიდა. მის ვიზიტს საქართველოში სამოქალაქო აქტივისტების პროტესტი მოჰყვა, რომლებსაც მოგვიანებით, პოლიტიკოსებიც შეუერთდნენ. პოზნერს სასტუმრო “ვინოტელის” დატოვება, სადაც ის სტუმრებთან ერთად ვახშმობდა, პროტესტის ფონზე, პოლიციის კორდონის საშუალებით, მოუწია. სასტუმრო “ვინოტელი” კი შრომის ინსპექციის სამსახურმა აკრძალული საქმიანობის განხორციელებისთვის, 10 000 ლარით დააჯარიმა.

ვლადიმერ პოზნერი და მისი სტუმრები სასტუმრო “რუმსში” არიან დაბინავებული. “რუმსის” ტერიტორიაზე კვლავ რჩებიან აქციის მონაწილეები. აქციის მონაწილეების

თქმით, პოზნერი არის განცხადების ავტორი, რომლის თანახმადაც “აფხაზეთი არასდროს იქნება საქართველოს ნაწილი”, რითაც მან საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას შეურაცხყოფა მიაყენა და მან საქართველო უნდა დატოვოს. ამასთან, აქტივისტები აცხადებდნენ, რომ პოზნერმა და მისმა სტუმრებმა ე.წ. კომენდანტის საათი დაარღვიეს.

— ipn.ge